საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

ივნისი, 2023

1

კანადის კონკურენციის ბიურო

სასურსათო ბაზარი

40 წლის მანძილზე სასურსათო პროდუქტების ფასის ზრდა ყველაზე მაღალი ტემპით ახლა შეიმჩნევა. კანადის კონკურენციის ბიურომ გამოაქვეყნა ბაზრის შესწავლის ანგარიში "კანადას სჭირდება მეტი სასურსათო კონკურენცია", რომელიც რეკომენდაციას უწევს კანადის მთავრობას, ყველა დონეზე იმოქმედოს სასურსათო ინდუსტრიაში კონკურენციის გაზრდის მიზნით.

ანგარიშში ხაზგასმულია საცალო სასურსათო ბაზრის კვლევის დასკვნები, რომელიც ბიურომ დაიწყო 2022 წლის 24 ოქტომბერს. იგი იკვლევს კონკურენციის მდგომარეობას სასურსათო მრეწველობაში და განსაზღვრავს ბარიერებს კონკურენციის გაზრდის მიზნით. ასევე იკვლევს დამოუკიდებელი მწარმოებლების, საერთაშორისო მწარმოებლების და განვითარებადი ბიზნეს მოდელების პოტენციალს, რათა მეტი კონკურენცია, ინოვაცია და არჩევანი მიაწოდოს კანადელებს.

მოხსენებაში მოცემულია ოთხი რეკომენდაცია მთავრობისთვის, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კონკურენციას სასურსათო მრეწველობაში:

- შეიქმნას სამთავრობო სტრატეგია ახალი ტიპის სასურსათო ბიზნესის გაჩენის მხარდასაჭერად;
- დამოუკიდებელი სასურსათო მაღაზიების ზრდისა და საერთაშორისო სასურსათო მაღაზიების შესვლის წახალისება;

- ხელმისაწვდომი და ჰარმონიზებული ერთეულის ფასების მოთხოვნის დანერგვა მომხმარებლის არჩევანის გაძლიერების მიზნით;
- ქონების კონტროლის გამოყენების შეზღუდვა, რაც ართულებს ახალი სასურსათო მაღაზიების გახსნას.

“კონკურენცია ხელს შეუწყობს ფასების შემცირებას და კანადელებისთვის ცხოვრებას უფრო ხელმისაწვდომს გახდის” - განაცხადა უწყებამ.

წყარო:

1

ფედერალური სავაჭრო კომისია (FTC)

AMAZON

ფედერალური სავაჭრო კომისია იღებს ზომებს Amazon.com, Inc.-ის წინააღმდეგ. საკითხი ეხება მომხმარებლების Prime პროგრამაში მათი თანხმობის გარეშე ჩართვას, ხოლო Amazon შეგნებულად ართულებს მომხმარებლების Prime-ზე გამოწერის გაუქმებას.

FTC კომპანიას ადანაშაულებს, რომ მან შეგნებულად მოატყუა მილიონობით მომხმარებელი, რის შედეგადაც მომხმარებლები გაუცნობიერებლად დარეგისტრირდნენ Amazon Prime-ში. კონკრეტულად, ამაზონმა გამოიყენა მანიპულაციური, იძულებითი ინტერფეისის დიზაინი. Amazon-მა ასევე შეგნებულად გაართულა გაუქმების პროცესი Prime აბონენტებისთვის, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი წევრობის შეწყვეტას. წევრობის გაუქმების პროცესის უპირველესი მიზანი იყო არა აბონენტების გაუქმების საშუალება, არამედ მათი შეჩერება. Amazon Prime-ის წევრობის საფასური თვეში $14,99 შეადგენს.

FTC ასევე ამტკიცებს, რომ Amazon ცდილობდა გადაედო და ხელი შეეშალა კომისიის გამოძიებისთვის სხვადასხვა ინსტანციაში. საქმეს სასამართლო განიხილავს.

წყარო:

2

ფედერალური სავაჭრო კომისია (FTC)

MADE IN USA

ფედერალური სავაჭრო კომისია ახორციელებს შესაბამის ზომებს მასაჩუსეტსა და ნიუ ჰემფშირში დაფუძნებული ტანსაცმლის აქსესუარების კომპანიების ჯგუფთან, და მათ მფლობელთან, თომას ბეიტსთან. საკითხი ეხება ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, რომ კომპანიის გარკვეული პროდუქტები იწარმოებოდა აშშ-ში.

„დამზადებულია აშშ-ში“ ნიშნავს იმას, რასაც წერია“, - თქვა სამუელ ლევინმა, FTC-ის მომხმარებელთა დაცვის ბიუროს დირექტორმა. პროდუქტების ყალბი ეტიკეტირება, როგორც „დამზადებულია აშშ-ში“ აზიანებს მომხმარებლებს და კონკურენციას, და FTC გააგრძელებს კანონის აგრესიულ აღსრულებას, რათა შეაჩეროს აღნიშნული ფაქტი და კანონის დამრღვევებს დააკისროს ფულადი ჯარიმა.

13, 2021 კომპანია, რომლებიც არღვევენ აღნიშნულ წესს, დღეიდან მოყოლებული, შეიძლება დაექვემდებარონ სამოქალაქო ჯარიმებს.

[წყარო:]

1

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია (ACCC)

MITSUBISHI

ავტრალიის უწყებამ მოკვლევა დაიწყო Mitsubishi Motors Australia Limited-(Mitsubishi) წინააღმდეგ, საკითხი ეხება მანქანების ფასზე ფასდაკლებას ფერმერთა ფედერაციის (QFF) წევრებზე. Mitsubishi-მა ნაწილობრივ დაუბრუნა თანხა დაზარალებულ მომხმარებლებს. საჩივრის თანახმად, Mitsubishi-მა გააკეთა ცრუ ან შეცდომაში შემყვანი რეკლამა ფასდაკლებების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მის სატრანსპორტო საშუალებების მთელ რიგზე, რომელიც გავრცელდა როგორც მიზნობრივი შეთავაზება QFF წევრებისთვის.

QFF წევრებისთვის გაგზავნილ Mitsubishi-ის სარეკლამო ფლაერში ნათქვამია, რომ მათ ჰქონდათ 15% ფასდაკლების უფლება Mitsubishi მანქანების მთელ ასორტიმენტზე, მაშინ როცა რეალურად 15% ფასდაკლება მხოლოდ Mitsubishi Triton-ის ავტომობილის კონკრეტულ ვარიანტს ეხებოდა. გადაწყვეტილების მიხედვით დაზარალებულმა მხარემ მიიღო სრული 15% ფასდაკლება შეძენილ მანქანაზე და სხვაობა დაუბრუნდათ მომხმარებლებს.

[წყარო:]

ევროკომისია

გადახდის სერვისების მოდერნიზაცია და ფინანსური სერვისების მონაცემების გახსნა: ახალი შესაძლებლობები მომხმარებლისა და ბიზნესისთვის

ევროკომისიამ წამოაყენა წინადადებები გადახდების და ფართო ფინანსური სექტორის ციფრულ ეპოქაში გადაყვანის შესახებ. ახალი წესები და რეგულაციები კიდევ უფრო გაუმჯობესებს მომხმარებელთა დაცვას და კონკურენციას ელექტრონულ გადახდებში და მისცემს მომხმარებლებს უფლებას გააზიარონ თავიანთი პერსონალური მონაცემები უსაფრთხო გზით, რათა მიიღონ უკეთესი და იაფი ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების ფართო სპექტრი.

გადახდის სერვისების ბაზარი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო წლებში. ევროკავშირში ელექტრონული გადახდები მუდმივად იზრდებოდა და 2021 წელს 240 ტრილიონ ევროს მიაღწია. ახალი პროვაიდერები, რომლებიც ჩართულნი არიან ციფრულ ტექნოლოგიებში, შემოვიდნენ ბაზარზე, კერძოდ, ისინი უზრუნველყოფენ ღია საბანკო სერვისებს, ასევე გაჩნდა თაღლითობის უფრო დახვეწილი ფორმები, რომლებიც მომხმარებლებს რისკის ქვეშ აყენებენ და გავლენას ახდენენ სანდოობაზე.

დღევანდელი წინადადება შეცვლის და მოდერნიზაციას მოახდენს მიმდინარე გადახდის სერვისების დირექტივაზე (PSD2), კერძოდ: გადახდის სერვისის პროვაიდერებს საშუალება ექნებათ გაუზიარონ თაღლითობასთან დაკავშირებული ინფორმაცია ერთმანეთს, გაზარდონ მომხმარებელთა ცნობიერება, გააძლიერონ კლიენტების ავტორიზაციის წესები, გააფართოონ თაღლითობის მსხვერპლი მომხმარებლების თანხის დაბრუნების უფლებები და ა.შ. გაუმჯობესონ მომხმარებელთა უფლებები, მაგალითად, როდესაც მათი სახსრები დროებით დაბლოკილია, მოახდინონ მათი ანგარიშის ამონაწერების გამჭვირვალობა და უფრო გამჭვირვალე ინფორმაციის მიწოდება ბანკომატით სარგებლობის შესახებ. გაუმჯობესდება ღია ბანკინგის ფუნქციონირება ღია საბანკო სერვისების მიწოდებისთვის დარჩენილი დაბრკოლებების მოხსნით და კლიენტების კონტროლის გაუმჯობესებით, რაც საშუალებას მისცემს ბაზარზე შემოვიდეს ახალი ინოვაციური სერვისები. ასევე გაუმჯობესდება ნაღდი ფულის ხელმისაწვდომობა მაღაზიებში.

აღნიშნული წინადადება უზრუნველყოფს მომხმარებლებმა უსაფრთხოდ განაგრძონ ელექტრონული გადახდები და ტრანზაქციები ევროკავშირის ფარგლებში თუ მის გარეთ, ევროში და არა ევროში. ის ასევე მიზნად ისახავს ბაზარზე გადახდის სერვისის პროვაიდერების უფრო დიდი არჩევანის უზრუნველყოფას.

[წყარო:]

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

საწვავის ბაზარი

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისმა საწვავის ბაზართან დაკავშირებით მოკვლევა დაასრულა. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანია PKN Orlen-ის მიერ 2022 წლის ბოლოს დაწესებული ფასები არ არღვევდა კონკურენციის კანონს.

UOKiKის დასკვნებს წინ უძღვის ეკონომიკური ანალიზი და შეესაბამება ევროკომისიის, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს და ევროპული ანტიმონოპოლიური ორგანოების პრეცედენტულ სამართალს.

2023 წლის დასაწყისში დიდი მღელვარება იყო ბენზინისა და დიზელის ფასებთან დაკავშირებით. უწყებამ მიიღო მრავალი საჩივარი, საკითხი ეხებოდა PKN Orlen-ის მიერ 2022 წლის ბოლოს დაწესებულ ფასებს, რომელიც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტს წარმოადგენდა.

მოკვლევის ფარგლებში პროცედურა ჩატარდა როგორც პოლონეთის, ისე ევროკავშირის რეგულაციების საფუძველზე. ორლენი საწვავზე (დიზელზე და ბენზინზე) ადგენს ე.წ. SPOT ფასს. იგი განისაზღვრება გარკვეული ფორმულებით, რომლებიც დაფუძნებულია სხვადასხვა ბაზრის ფაქტორებზე. ერთერთი მათგანია საერთაშორისო სასაქონლო ბირჟებზე მოცემული ტიპის საწვავის კვოტირება. პროცედურის მსვლელობისას, UOKiK-მა მოიპოვა დეტალური ინფორმაცია ორლენის მიერ SPOT ფასების გაანგარიშების წესის შესახებ და გააანალიზა მონაცემები, რომლებიც ამ ფასების დადგენის საფუძველს წარმოადგენს 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის იანვრის ბოლომდე პერიოდში.

დაახლოებით 2022 წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან საერთაშორისო ბაზრებზე საწვავის ფასების კვოტირებამ სტაბილურად დაიწყო ვარდნა. ეს ეხებოდა როგორც ბენზინის, ასევე დიზელის ფასებს. ამავდროულად, Orlen's SPOT-ის ფასები არ დაეცა ისე დინამიურად და პროპორციულად, როგორც ამ ფასის დასადგენად გამოყენებული კვოტირებები.

UOKiK ასევე გააანალიზა საწვავის ფასების ევოლუცია პოლონეთში სხვა შიდა ბაზრებთან შედარებით. ამ მიზნით მან გამოიყენა ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ყოველკვირეული მონაცემები ევროკავშირის ქვეყნებში გადასახადებისგან თავისუფალი საცალო ფასების შესახებ (https://energy.ec.europa.eu/data-and-analysis/weekly-oil-bulletin_en).

გრაფიკი აჩვენებს ფასის პოზიციას პოლონეთში მოცემულ კვირაში (პირველი პუნქტი ნიშ ნავს უმაღლეს ფასს) 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ბოლომდე.



UOKiK-მა ასევე გამოიკვლია PKN Orlen-ისა და Aramco Fuels Poland-ის მიერ 2022 და 2023 წლებში საწვავის SPOT ფასების მსგავსება. ანალიზი არ მიუთითებს მეწარმეებს შორის ფასების კუთხით რაიმე კოორდინაციაზე.

საწვავის ფასზე მოკვლევა დასრულდა. UOKiK გააგრძელებს ბაზარზე არსებული ვითარების მონიტორინგს.

წყარო:

2

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

160 მილიონ ზლოტზე მეტი ჯარიმა, შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკის გამო

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისის პრეზიდენტმა "Jeronimo Martins Polska" შესახებ გადაწყვეტილება გამოსცა. კომპანიამ შეცდომაში შეიყვანა

მომხმარებლები კამპანიის „Tarcza Biedronki antyinflacyjna“ წესებისა და რეგულაციების პირობებთან, შეღავათებთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკის გამო კომპანია დაჯარიმდა, ჯარიმამ შეადგინა 160 მილიონ PLN-ზე მეტი.

საკითხი ეხება “Jeronimo Martins Polska” პრაქტიკას ქსელურ მაღაზიებში 2022 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით გამართულ ეროვნულ კამპანიას სახელწოდებით "თუ ჩვენი ტოპ 150 ჩამონათვალიდან სხვაგან იპოვით ნივთს დაბალ რეგულარულ ფასად, ჩვენ დაგიბრუნებთ სხვაობას". აღნიშნული ფაქტი გამიზნული იყო, როგორც მეწარმის პასუხი ინფლაციის მაჩვენებლის ზრდაზე. სარეკლამო შეტყობინებები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ მიიპყრო მომხმარებლების ყურადღება, რომლებიც ეყრდნობიან პროდუქციის დაბალ ფასებს და შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ შეთავაზებული პროდუქტები ყველაზე იაფია ბაზარზე.

მოკვლევის შემდეგ, UOKiK-ის პრეზიდენტმა გამოსცა გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია, რომ კომპანია არღვევს მომხმარებელთა ინტერესებს. ამასთანავე უფრო მიმზიდველი ფასის საქონლის პოვნა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი იყო, თან ნივთი ორივე მაღაზიაში უნდა შეძენილიყო და წესებში მითითებულ მრავალრიცხოვან და დამატებით პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. მოთხოვნებში იყო, კონკრეტული კონკურენტი მაღაზიები და შეძენის თარიღები, პროდუქციის ეტიკეტების ფოტო გადაღების აუცილებლობა, ქვითრების შენახვა, ელექტრონული მოხსენება და დოკუმენტაციის გაგზავნა ფოსტით საკუთარი ხარჯებით.

ასევე სადავო პრაქტიკა ეხება წესებისა და რეგულაციების ხელმისაწვდომობას, რომელიც აღწერს კამპანიის ყველა წესს. ისინი სარეკლამო მასალის მიხედვით მაღაზიებში უნდა გამოფენილიყო, თუმცა ხელმისაწვდომი მხოლოდ დაინტერესებული მომხმარებლების მოთხოვნით იყო. კომპანიისთვის ეს არ ყოფილა პირველი ჯარიმა, პოლონეთის უწყება ეჭვქვეშ აყენებდა ისეთ პრაქტიკებს, როგორიცაა ფასების შეუსაბამობა სალაროებსა და დახლებს შორის, ხილისა და ბოსტნეულის წარმოშობის არასწორი ეტიკეტირება, ორივე გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადასტურა.

[წყარო:]

სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია

რძის პროდუქტების ბაზარი

კონკურენციის დაცვის კომისიამ არაერთი კვლევა ჩაატარა რძის პროდუქტების მიმოქცევასთან დაკავშირებით. კვლევები მიზნად ისახავდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევების გამოვლენას, რძის პროდუქტებში მცენარეული ზეთის

გამოყენებას და მომხმარებლების შეცდომაში შეყვანას არასწორი ან არასრული ეტიკეტირების გზით.

მოკვლევის შედეგად, 2023 წელს დაიწყო 14 საქმის წარმოება, 10 ბიზნესოპერატორს დაეკისრა ჯარიმა 34 მილიონი დრამის ოდენობით.

წყარო:

1

ავსტრიის ფედერალური კონკურენციის უწყება (AFCA)

კარტელი

ფასადების მშენებლობის სექტორში მოკვლევის ფარგლებში, ავსტრიის კონკურენციის უწყებამ (AFCA) 2023 წლის 7 ივნისს შეიტანა განცხადება კარტელის სასამართლოში კომპანია Simsek Bau GmbH-თვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე, საკითხი ეხებოდა ანტიკონკურენტულ ქცევას.

როდესაც ვენის კრიმინალური გამოძიების რეგიონულმა ოფისმა (LKA Wien) 2017 წელს ჩაატარა კრიმინალური გამოძიება კომპანიებზე, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ გარკვეულ დანაშაულებში და გამოძიებიდან გამომდინარე ისმინებოდა მათი ტელეფონები, აღნიშნული ფაქტიდან, დადგინდა, რომ ფასადების მშენებლობის სერვისებზე ტენდერებში მიმდინარეობდა სისტემატური ანტიკონკურენტული ქმედებები და კონკურენტულად მგრძნობიარე ინფორმაციის გაცვლა. ჩაწერილი სატელეფონო საუბრების საფუძველზე უწყებამ ჩაატარა რეიდები რამდენიმე სამშენებლო კომპანიაში.

მოკვლევის შედეგად დადასტურდა, ანტიკონკურენტული ქცევა. ერთჯერადი და უწყვეტი დარღვევა იყო არალეგალური ფასების დაფიქსირების, ბაზრის დაყოფისა და კონკურენტებთან ინფორმაციის გაცვლის სახით. Simsek Bau GmbH-მა აღიარა დარღვევა.

NFS Bau GmbH კარტელის სასამართლომ დააჯარიმა, ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 54,000 ევრო.

AFCA უახლოეს მომავალში შეიტანს შემდგომ განცხადებებს ამ სექტორის სხვა კომპანიებთან დაკავშირებით.

წყარო:

საფრანგეთის კონკურენციის უწყება

ანტიკონკურენტული შეთანხმება და ქმედება

სამი კომპანია დაჯარიმდა Hauts-de-France-ის რეგიონში შენობების სარემონტო საჯარო ტენდერებზე ანტიკონკურენტული შეთანხმებების გამო.

კომპანიებმა Entreprise Lelu და Bernard Battais et fils, რომლებიც აქტიურად ჩართული იყვნენ Hauts-de-France-ის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განახლებასა და რესტავრაციაში, გაცვალეს ინფორმაცია ფასების შესახებ, საკითხი ეხებოდა ორი ეკლესიის რესტავრაციისთვის გამოცხადებული ტენდერს. აღნიშნული პრაქტიკა უარყოფითად აისახა ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტებზე.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ დააწესა შემდეგი სანქციები:

Company	Sanction
Bernard Battais et fils (jointly and severally with Battais Invest)	€124,000
Entreprise Lelu	€22,000
ECR (jointly and severally with Fijet)	€28,000
Total	€174,000

გერმანიის კონკურენციის უწყება (BUNDESKARTELLAMT)

ციფრული მობილობის სერვისების ბაზრები

ფედერალური კარტელის ოფისის 2023 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, კომპანია Deutsche Bahn AG-მა დაარღვია ანტიმონოპოლიური კანონი, რადგან აღნიშნულმა ჯგუფმა ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება მობილობის პლატფორმებზე.

სახელმწიფო კომპანია Deutsche Bahn, რომელიც ვერტიკალურად არის ინტეგრირებული ქსელის ოპერაციიდან ბილეთების გაყიდვამდე, არის დომინანტური სატრანსპორტო კომპანია გერმანიაში სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვებში. სერვისები უზრუნველყოფილია სხვადასხვა პლატფორმებით, რაც მოგზაურებს საშუალებას აძლევს დაგეგმონ ინტეგრირებული მარშრუტები.

პლატფორმები მომხმარებლებს სთავაზობენ შედარებით ინფორმაციას სამგზავრო მარშრუტების შესახებ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით და ასევე შესაბამისი ბილეთების და სამგზავრო ბარათების დაჯავშნის თაობაზე. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რკინიგზა და DB-ის სატრანსპორტო მომსახურება. მაგალითად, პლატფორმები აწყობენ მატარებლის ბილეთების კომბინაციას ფრენებთან, მანქანის დაქირავებასთან, საქალაქთაშორისო ავტობუსებთან ან ველოსიპედის დაქირავებასთან. ერთის მხრივ, DB არის ბაზარზე დომინანტური სარკინიგზო სატრანსპორტო კომპანია და, მეორე მხრივ, ის არის პლატფორმა. ფედერალური კარტელების ოფისის დასკვნების მიხედვით, DB-ს აქვს მთავარი პოზიცია ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის ბაზრებზე.

უწყების აზრით DB-ის ანტიკონკურენტული სახელშეკრულებო პუნქტებია რეკლამის აკრძალვა, ფასის ვერტიკალური სპეციფიკაციები, ფასდაკლებების აკრძალვები და საინკასო საკომისიოს დაკავება.

ფედერალური კარტელის ოფისის გადაწყვეტილება ჯერ არ არის საბოლოო. DB-ს აქვს ერთი თვე, რათა გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რომელსაც შემდეგ გადაწყვეტს დიუსელდორფის უმაღლესი რეგიონული სასამართლო.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, კანადის, ავსტრალიის, პოლონეთის და სომხეთის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები. ასევე ევროკომისიის და ფედერალური სავაჭრო კომისიის ვებგვერდები.

(032) 244 07 70

info@gnca.gov.ge

www.gnca.gov.ge

https://bit.ly/37SCd22

https://bit.ly/3rZdxvL

https://bit.ly/37SCd22

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი", მე-10 სართული